№ 2 იანვარი 4, კვირა 1887 იანვარი 4, კვირა № 2

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

6-ს იანვარს 1887 წელს.

ტფილისის „კრუჟოკის“ ახალ სადგურში იქნება გამართული

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთისა 2 მანათი.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც მობძანდნენ.

ბალი დაიწყობა საღამოს 9 საათზედ.

ბილეთები ისყიდება კრუჟოკის შვეიცართან. (2—2)

ქართული თეატრი

დღეს, 4 იანვარს,

ბ-ნ აბაშიძის ბენეფისი

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან ბ-ნ კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

გაპიყარნეთ

კომედია 3 მოქმედებად, ვ. სარდუსი, გადმოკეთებული ა—საგან.

ჯერ დაიხოცნენ

მერე დაქორწილდნენ.

[illegible] 2 მოქმედებად, გადმოკეთ. თ. [illegible]

მოთამაშენი: ქქ. გაბუნ.-ცაგარლისა, საფ.-აბაშიძისა, ლეონიძისა; ბბ. მესხი, აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, აწყურელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 3 იანვარი

ამ შვიდის წლის წინად „ივერიამ“,*) ჯერ, როცა ჟურნალი იყო, გამოსთქვა, რომ სოფელი ერთ წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს; რომ სოფლის მართველობასა და გამგეობაში წოდებათა გარჩევა არ უნდა იყოს; რომ უფლება და მოვალეობა ერთ ნაირის თანასწორობით განაწილებული უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად თუ,—მკვიდრი რომლის წოდებისაა. „ივერიამ“ წინადვე აღიარა თვისი შიში მასზედ, რომ ამ ჩვენს აზრს თვით მსჯელობას მოკლებული კაცი მოესევა და უვიცობის ლაღობით შენტვას დაუწყებსო. წინად-გრძნობამ არ უმტყუნა „ივერიას“ და იმავ „ივერიის“ ფურცლებზედ ერთმა ლიბერალმა ლიბერალობის სახელით გამოილაშქრა ამ აზრზედ და მის ავტორს რეტროგრადობა შესწამა. ამით გაიავდა მაშინ ეს საქმე. ავტორმა პასუხი არ გასცა თავ-მომწონე ლიბერალს, [illegible] რამ ამ ლიბერალს ცოდნა [illegible] თავ. უცვლობის [illegible] ერთი დიდი მოუვიდა, რომ [illegible]ნებული ლიბერალი მისდა დაუკითხავად რეტროგადთა წრეში მოექცა. იქნება მერე ბევრიც იოცა, ეს რა მომივიდაო, მაგრამ რადას უშველიდა.

არ გასულა ერთი წელიწადი და პროფესორმა გრადოვსკიმ გამოსთქვა იგივე აზრი, რაც „ივერიამ“. რა თქმა უნდა, ეს გარემოება კიდევ საკმარისი არ იქნებოდა, რომ ტყუილის ლიბერალობის ცეცხლით აპილპილებული და გახურებული კაცი განელებულიყო. ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად, როცა აწ განსვენებულმა აკსაკოვმა ნიშნის მიგებით წაუყვედრა რუსეთის ლიბერალებს, თქვენც არ იცით რა [illegible] და თუ იცით, აბა ერთი გვაჩვენეთ თქვენს დროშაზედ რა აწერიაო, მაშინ ჟურნალმა „Вѣстникъ Европы“-მ ლიბერალების სახელით სხვათა შორის დაასახელა იგივე აზრი, რაც ჟურნალმა „ივერიამ“ გამოსთქვა და რაც ასე გაბედვით ითაკილა ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა, როგორც რეტროგრადების აზრი. ხოლო საოცარი ამბავი კი მოხდა. მას აქედ ამ აზრს ეურჩებიან და ებრძვიან რუსეთში რეტროგრადები და ლიბერალები კი ჰფარვიდობენ და ესარჩლებიან. [illegible] რუსულ ჟურნალ-გაზეთებისათვის და ერთობ ლიტერატურისათვის, —ამის საბუთს არ მოგვთხოვენ. „ივერიისაგან“ გამოთქმული აზრი და ჩვენის ლიბერალისაგან დაწუნებული დღეს რუსეთში დიდს გარჩევაშია და დიდი საბაასო საგანია, რადგანაც თვით უმაღლესი მთავრობა ჰზრუნავს, რომ სოფლის სათემო მმართველობა უკეთესად მოაწყოს, იმიტომ-რომ შენიშნულია მისი ეხლანდელი ნაკლულოვანება.

13-ს დეკემბერს წარსულის წლისას ერთს სამეცნიერო საზოგადოებაში*) პეტერბურგში ბ-ნ არსენიევის რეფერატის გამო ამავე საგანზედ ჩამოვარდნილა ლაპარაკი და ბ-ნ არსენიევს თვის მოპირდაპირეთათვის უთქვამს: „ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა (всесословная волость) ერთად-ერთი ღონეა და სახსარი, ერთად-ერთი შესაძლებელი აგებულება ადგილობრივის მართველობისა და მთლად შეეფერება ეხლანდელის ცხოვრების მოთხოვნილებასაო. ბ-ნს სპასოვიჩს გამოუცხადებია, რომ სრულად თანამოზიარე ვარ ბ-ნ არსენიევის აზრისაო და მეც ერთად-ერთ ღონედ ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა მიმაჩნიაო. არა გვგონია, ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა თავის გასამართლებლად იკადნიეროს და ბ-ნნი არსენიევი და სპასოვიჩი რეტროგრადთა რიცხვში მოაქციოს. ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია ეს აზრი ამა-და-ამ ფერისაო. ამასა ჰქვიან რუსები რომ იტყვიან: „своя своихъ непознаша“.

ჩვენ თუ ეს დავიწყებული ამბავი გავიხსენეთ, მარტო იმისთვის, რომ დღეს აქაური მთავრობაც და უმაღლესიც იმის ზრუნვაშია, რომ განაგარგოს სასოფლო თვით-მართველობა. მეტი არ იქნება, რომ აქაურმა ახალის წესის შემადგენელთა სახეში იქონიონ სათანაგრძნობელი აზრი ბ-ნთ არსენიევისა და სპასოვიჩისა.

---

*) იხილე ჟურნალი „ივერია“ 1879 წ.

*) Административное Отдѣленіе Юридическаго Общества.

მილოცვა ახალ-წლისა

(„ივერიის“ რედაქტორს)

გლეხისაგან.

ახალ-წელიწადს გილოცავ...
ნუ მიწყენ, დავიგვიანე,
ამითი, გხედავ, ბეჩავმა,
მე თავი დავიზიანე:
მოვკლდი შენს კარგს სუფრასა
და „ყვისვით“ წითელ ღვინოსა...
ვინატრი რომა მარანში
ვგდავ მაინც [illegible]!..
ღვთის გუ[illegible], ნუ [illegible]
და ნურას [illegible],
«ხონბა» მ[illegible],
ღმერთია ამის თავდები:
მაგრამ თქვენს „ნათლი-დედასა“
ხელი რამ ღრმა თონეში,
ქადები დამაგვიანა,—
ეხლაც მგლავი აქვს დონეში.

ფელეტონი

საკვირაო სხარტულა

კიდევ ერთი.—ბედის უბეში.—შავნი შაშვნი.—ვის რა დავაკელით.—შური მოძმეთა შორის.—შურიანი „ივერია“.—„ცისკარის“ საქიმიო ლაბორატორია.—ეშმაკობა „ცისკრისა“.—ჰო!—აღთქმა და გაცუდება აღთქმისა.—მახე „ცისკრის“ თერ დაგებული—გულთა ჩხრეკა—არ უწყიან რას იქმან.—მახლას!—მაგალითი.—ვის რა დავა აქვს.—გულ-გრილობა.—როდემდის, როდემდის!—გულს ნუ გაიტეხთ.—სუ და სუობის წელიწადი—საქებური ამბავი ძველის წლისა.—სიყვარული ამას ჰქვიან.—სულ ფუჭ!

ეს ერთი წელიწადი კიდევ გავისტუმრეთ ჩაილურის წყლის დასალევად. ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მისცეს: დეე წავიდეს იქ, საიდამაც აღარავინ მოდის უკან, დეე წავიდეს და საცა თავისი სთქვას, ჩვენიც იქა სთქვას. ჩვენ, როგორც სხვა მრავალ წელთაგან, არცა გვცხელოდა მისგან, არცა გვციოდა. ჩვენ ბედს ჩიტის ბღარტებივით უბეში თბილად ვუსხედით და ცუ რასმე ვაკეთებდით, მარტო ის იყო რომ პირს ვაღებდით ბღარტებსავითე, აცა ვინმემ პირში ლუკმა ჩაგვიდოსო. ვიყავით ისე, როგორც

„[illegible] შაშვნი ოა გალიას შემსხდარნი
[illegible] მხმობნი, [illegible] ყარიბად მსტვენავნი.“

ვისხედით ჩვენთვის ჩუმ, ქერქში, როგორც შეჰფერის ჩვენისთანა იქმს კაცსა: დინჯად და ამა-ამოუღებლად. ვქექდით ნაცარ-ქექიასავით ნაცარსა და თუ კაცობა გამოგვიჩენია რაშიმე, ვსთქვათ, მახლობლისათვის თვალში ნაცარი შეგვიყრია,—ვის რა დავაკელით? ნაცარი მუქთი იყო და თვალებიც ვის რად უნდოდა? არავერი ნუგბარია, თუ კაცს თვალი მარტო პირის-სახის სამკაულადა აქვს და არა ხედვისათვის.

აი, ვსთქვათ, „ივერია“ და „ცისკარი“. ორად-ორი გაზეთია და ესენიც ერთმანეთში ვერ მოთავსებულან, ჰშურობენ ერთმანეთსა და მოძმენი კი არიან. ჩვენ, რასაკვირველია, გულწმინდა „ცისკარს“ შურს ვერ შევწამებთ და ვერც ვაკადრებთ. სულ „ივერიის“ ბრალია. ეგ არის შურით გატენილი გუდა. «ცისკარმა» ენა ამოიდგა თუ არა, გულ-უცებად უშურველად წამოიძახა, რომ ქაფური нашатырь-იაო და купоросъ-ი კვიპაროზიო და შურიანი „ივერია“ მაშინვე მივარდა, კაცო, ეგ რა სთქვიო? нашатырь-ი ხომ ნიშადურია, ქაფური—комфора და купоросъ-ი შაბიამანიაო. ახლა რა იყო «ივერიისაგან» რომ ხმის ამოღებისვე უმალ პირში მივარდა! შურიანი კაცი რომ იქნება,—იქნება, რას იზამ? დიაღ, ბატონებო, შეჰშურდა «ივერიას», რომ «ცისკარმა» თავის საქიმიო ლაბორატორიაში ნიშადური ქაფურად აქცია, შაბიამანი—კვიპაროზად და ქარი—ხოლერად. იმის მაგივრად, რომ ქვეყანაში სახელი გაეთქვა, აი როგორი ქიმიკოსები გვყავან ჩვენ ქართველებსაო, რომ ადამიანის შემმუსვრელს შაბიამანს ლამაზად ტან-აყრილს კვიპაროზად გარდაექმნითო, აილო და შურიანმა „ივერიამ“ სასაცილოდ აიგდო „ცისკარი“! აი ქართველები სულ ასეთები ვართ! ჩვენ რა ეშმაკი გაგვასწორებს! ერთმანეთს ორმოს ვუთხრით. კარგად კი მოსცხო „ცისკარმა“ პირველ იანვრის ნომერში „ივერიას“, ჰი, ვენაცვალე! ქაფურის მაგიერ, მართალია, ნიშადური უნდა მეხმარაო, მაგრამ ნიშადურზედ მეც თვითონ ცოტა ნაკლებად გახლავარო, ველარ გამოვიმეტე სხვისათვის, სხვებს ქაფური გავუგზავნე და ნიშადური კი რაც მე გადამრჩა, ჩემს მოძმეს „ივერიას“ მოვცხეო. თუ ამისთანა ეშმაკობა ბისმარკს ხელიდამ გამოუვა, ჩვენ ხელს [illegible]ვიქრით! თურმე ნუ იტყვით, [illegible] რა სდებია გულში „ცისკარსა“ მე ერთი ამხანაგი მყვანდა და [illegible]ლიან უყვარდა ძიძგილაობა. როცა მეორე ამხანაგი ქვეშ ამოიდებდა ხოლმე, ის წაქცეული მაინც გულს არ იტეხდა და ქვევიდამ ბძქცევს ეძახოდა: ჰოი! სწორედ ასე მოუვიდა „ცისკარსაც“. ამ შემთხვევაში ტყუილში დაიჭირეს და ისევ იძახის ნიშნის მოგებით: ჰოო!

ჩვენ ეს სრულებით არ გვაკვირვებს. უვიცობის ნიშადური თვითონ „ცისკარს“ კარგა ბლომად სცხებია, რომ საბა ორბელიანის მესაფქვავესავით თავი ველარ დაუჭერია და ასე შორს წასულა. ჩვენ ერთი რამ გვაოცებს. სანიმუშო ნომერში „ცისკარმა“ დიდის ყოფით და ამბით დაილაღადა, რომ ჩვენი გაზეთი საქვეყნო გაზეთია და ამიტომაც დიდის მადლობით და ხელ-აღპყრობით მივიღებთ ყოველს შენიშვნას, თუ რაშიმე შევცდითო. სულელმა „ივერიამაც“ მართლა დაიჯერა ეს აღალბედად წარმოთქმული სიტყვა და [illegible] იცოდა, შეჰნიშნა: ქაფური нашатырь-ი არ არისო, კვიპაროზი—Купоросъ-ი და ქარი—ხოლერაო; შეცდომა ამისთანა [illegible] სახიჩრო, ამისთანა ცხადი და უდავო-დარაბო, როგორიც შეიმჩნია „ივერიამ“, ლიტერატურაში სხვა არ მოიპოვება. ხომ ესეა, მაგრამ თურმე ნუ იტყვით „ცისკარმა“, რომლისაგან მისის სიტყვისამებრ, მადლობას და ხელთ-აღპყრობას მოველოდით შეცდომის ჩვენების გამო, ამ ბატონმა „ცისკარმა“ აილო და „ივერიასვე“ შერისხა, შეაჩვენა, შურით მოგივიდა და ჰო, მოგცხე თუ არა ნიშადური მაგ შურისათვისაო. ვის მოსცხო აქ „ცისკარმა“ ნიშადური, თავის თავს, თუ „ივერიასა“,—ეგ ღმერთმა იცოდეს. ჩვენ კი ამას ვიტყვით,—რომ აქ იმოდენად ლოღიკის ღერძის გატეხა არ გვაოცებს, რამოდენადაც ის, რომ «ცისკარის» სიტყვას ბაჟი არა ჰქონია. რასა გვპირდებოდა ჰქა-ქუხილით და რა გამოვიდა? ერთის ნომერიდამ მეორე ნომრამდე,—ამ პატარა მანძილზედაც ველარა ჰზიდა თავისი აღთქმა. სჩანს ეს აღთქმა მეტად მძიმე საზიდავი ყოფილა «ცისკარის» ღონისათვის. მახლას!.. ამას ვინა ჩივის? საქმე ის არის, რომ «ცისკარი» გულ[illegible] მხილავი იმოდენად არა ყოფილა, რამოდენადაც გულთა-მჩხრეკი. ჩვენს გულსაც დაუწყო ჩხრეკა და იქ შური ამოიკითხა. ერთი ჰკითხეთ, რა უნდა შეგვშურებოდა? ისა, რომ ქაფური ნიშადურად ვერ ვაქციეთ, შაბიამანი—კვიპაროზად და ქარი—ხოლერად!.. მართალია, ჩვენ მაგისი ოსტატობა არ ვიცით; „ცისკარსა“ სცოდნია და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. შური აქ რა შუაშია? ვინ მისცა «ცისკარს» ნება სხვის გულის ჩხრეკისა? ვერაფერი ხელობაა და შეგვინდვია მისთვის ეს უკადრისი ქცევა „რამე თუ არა უწყიან, რას იქმან».

აი ცხადი მაგალითი ჩვენის უკაცურობისა. ასეთნი ვართ ყველგან და ყველაფერში. ჯერ აღთქმასა ვსდებთ, აი ამასა ვიქ, აი იმასა და თურმე ნუ იტყვით, იგი აღთქმა ამოთხრილი ორმოა მოძმისათვის. „ცისკარმაც“ ასე გვიყო: მადლობას გეტყვითო, თუ შეცდომას გამისწორებთო, ჩვენც ამით გვაცდინა, გამოგვიტყუა და როცა გავუსწორეთ, რისხვა და წყრომა შემოგვითვალა და ესეც არ გვაკმარა—შურიანობა დაგვწამა. მახლას!.. მახლას!..

ნუ რას შემრისხამ, ბატონო,
მოვდივარ მველბურადა:
„ხონჩით" და გოზაურითა,
არც მონად, აღარც ყმურადა...
მოვდივარ ნათელ-მირონობით,
მომაქვს ნაზუქი, ქადები,
ჩამიჩი, ვაშლი, ჩურჩხელა,—
ამით არ დავიქადები.
გილოცავ ახალ-წელიწადს,
მიიღე ჩემი სალამი,
ღმერთმა გაცხოვროს ტკბილადა,
გიკურთხოს მჭრელი კალამი!
ნუ მკითხამ ძველის წლისასა,—
ნავსი რამ იყო წყეული:
პირი უჩანდა საჩვენო,
ხვავი კი—შამოლეული!
მოგვდგა ქარებით, წვიმებით...
ჩვენთვის მზეს სადღა სცალიან,
ხან სეტყვა წამოგვაყარა,
დაგვაზიანა ძალიან!
ხორბალი გადაგვიქცია,
სულ მტკნარად, გუდაფშუტადა,
ყურძენი—მკვახე კრიკინად,
მაჭარი—მჟავე ტუტადა!..
ნულარამც მოგვიბრუნდება,
უკულმა ექნას პირია,
შენ კარგა მყავნდე, გაუძლოთ
და მოვითმინოთ ჭირია.
ჩვენი ყისმათი ეს იყო,
რა ეთქმის ბედის წერასა?..
სჯობს ისევ გარჯა, მხნეობა,—
ფუჭად რას უსხდეთ კერასა?..

ვაჭრისაგან.

გილოცავ ახალ-წელიწადს,
ნუგლითა, ყანდის შაქრითა,
ერთიც მოვდივარ, შეგჩავლო,
მოვდივარ ჩემის ჭამქრითა...
გნიაზჯან, ეს რა ხათაა?..
გვითხარ, რა გვექნა მუშტარი?..
ერთი დასწერე გაზეთა,
ერთი კარგი რამ უთხარი...,
უთხარ, თუ ბევრი მოგვსვლია
გრანიცის საქონელია...
ახარ, ხომ იცი, ვაჭრობა,
უმუშტროდ როგორ ძნელია?
ვა! ასე ხომ არ იქნება,
ზურგი რომ შამოგვაქცია...
ჭაი ხორცი ხომ არ არი,
რომ დაუნიშნონ ტაქცია?
ზოგს უთქომს, მითომ ჩვენ გვქონდეს
დამპალი ჩითეულია,
მტრის ენა არის, ნუ გჯერა,
ლუშუსტაცების თქმულია...
საბაბად ზოგი იახის:
«ხალხში გაწყდაო ფულია...»
შენი სიყმის მზეს, თქვი რამე
და გამიკეთე გულია..
ჩვენც, ენდე ღმერთსა, მოგყვებით,
თუ შეგვძლეთ, მუშტრის ნებასა,
თორემ, გნიაზჯან, მერწმუნე,
გაპირებ გაგუტრებასა!..
ერთ-თავათ ნავთიც გაძვირდა,
ბრძანე, ეს რადა ჭირია?..
მახლას! რასა იქ, რას იტყვი?—
უნდა დავკეტო პირია!..
გილოცავთ ახალ-წელიწადს!..
ძველისა რჩება ნისია:
თორმეტიოდე კნეინის,
სხვისი აღარა ვისაა...

თ. რაზ. ერისთავი

ძველი და ახალი წელიწადი

წავიდი ძველი უკუნქცეულის შეჩვენებით. „წინ-წყალი და უკან მეწყერი!" მეტი არა გვეთქმის რა... შავბედით-ეტლზე იჯდა და უკუღმა დაგვტრიალებდა ის პირ-[illegible]-რუცანა! საერთოდ დღესასწაულია, ძველს ქვა და გუნდით ისტუმრებენ, რომ ახალს ია-ვარდის კონებით მიეგებონ. მართალია, ძველის მოშორება სადღესასწაულოა, მაგრამ ახალი, მომავალი-კი რაღა სანატრელია?—ამ გვარი სიხარული ყმაწვილის ცელქობას გვაგონებს: შეესობა თუ არა ეკალი ფეხში, მოჰყვება ტირილს და რომ გამოულებენ, ცოტათი დაუამდება თუ არა წყლული, ივიწყებს გადასულ ჭირს, სიმღერით გარბის კარში ისევ ფეხ-შიშველა და იმდენს იცელქებს, მანამდი იხტუნებს, სანამ სხვა ახალი ეკალი კიდევ ხელმეორედ არ შეერჭობა. არა, ძველს რა მოუტანია ჩვენთვის, რომ ახლისაგანაც ველოდეთ? «ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსაო», ამბობს რუსთველი, მაგრამ დღეს ამ ლექსის სიმართლე დაკარგულია: ეჰ, დევ, ყველა ისე მოიქცეს, როგორცა ჰსურდეს და მე კი, ჩემდა თავად, ორივესა ვჰგმობ, წასულსაც და მომავალსაც...

ზოგიერთი სისულელე, თითქოს დაბადებიდან სიკვდილამდე ვალად აძევსო ადამიანს!. ერთი ამ გვართაგანია „ახალ-წლის მილოცვა" და „საახალწლო ნატვრა".

„მილოცვა" ვსთქვათ, კიდევ ანგარიშია: ზოგი საჩუქარს გამოელის, ზოგი უფროსის ყურადღებას, ზოგიც «თვალს წყალს ასმევს», მაგრამ ნატვრა რაღა მაჩანჩალაა?.. — ძღომას საზოგადოდ ორი რამ მოჰყვება: ნატვრა და სურვილი. პირველი ბუშია უნაყოფო ოცნებისა და მეორე კი მშობელი სხვა-და-სხვა საქმისა და ყოველ-გვარ მოქმედებისა. ვინც მხოლოდ ნატრობს, ის [illegible] და მცონარეა, —ვისაც ჰსურს, ის კიდეც ეცდება, რომ თავისი განზრახვა განახორციელოს და თუ მთლად ვერ შეუსრულდა წადილი, ნახევრად, ან ცოტაოდნად ხომ მაინც ბიჯს წასდგამს წინ და ესეც კარგი ღვთის წყალობაა! ამისათვის სურვილის აღძვრა ადამიანში საქმეა და ნატვრა კი უნაყოფო ცუღლუტობა. ჩვენ მხოლოდ ნატვრასა ვართ დაჩვეული, სურვილს ნატვრად გადავიქცევთ ხოლმე და პირ-დაღებული შევჰყურებთ მომავალს!... ეს, ეგება, მართალ [illegible] სურვილიც იყოს, რომ ყოველ ახალ-წელიწადს ნატვრას დავიკვებებთ ხოლმე. მოხუცი ქრისტიანი სულ-იმას ნატრობდა: „ნეტავ ერთი ისე არ მომკლა, რომ იერუსალიმი ვერა ვნახოო." ნატრობდა და თვითონ კი არ ინძრეოდა, იყო თავისთვის მხარ-თეძოზედ წამოწოლილი და ოხვრიდა. ერთხელ ვიღაც მხცოვანმა მოხუცმა, რომელიც ყავარჯნის ბჯენით ძლივს მოფანფალობდა, ჩამოუარა გვერდით ამ ნატვრა-ჩვეულ ბერი-კაცს და ჰკითხა: რასა ჰხვნეშიო?

— როგორ თუ რასაო? იერუსალიმის ნახვა მენატრებაო! მიუგო.

—მაშ თუ ეგრეა, ადე ზეზე, შენც აიღე ჯოხი ხელში და წავიდეთ, მეც იქ მივდივარო.

ნატვრა-დაჩვეულს გაეცინა და უთხრა:

— რაღა დროს ჩვენი ლოღიალია. არ იცი, რომ იქამდე ვერ მივაწევთ და ტყუილად თავს გავილახავთო!..

მგზავრმაც გადაიქნია თავი და მიუგო:

— არა, მე როგორც[illegible], შენ ნაცარ-ქექიად ყოფილხარ დაბადებულიო: მე ჩემს სურვილს მაინც მოვიკლავ. ვივლი სანამდისაც შევიძლებ. თუ იერუსალიმამდე ვერ მივაწევ, ანტიოქიაში ხომ მაინც ჩავალ და ისიც კარგი ღვთის წყალობა იქნებაო. და შენ-კი შენის ნატვრით აქვე უნდა ეგდო სიკვდილამდეო!..

იმისი არ იყოს, დიდი საქმეა სურვილი!.. უზომოც რომ იყოს ის, მაინც არ დეეშლება კაცს, თუ საკეთილო საქმეა! და ნატვრა კი ნაცარქექიაობაა. მაშ გაუმარჯოს სურვილს და თვალი დაუდგეს ნატვრას ახალ-წელიწად დღესაც და უიმისოთაც. წავიდა ძველი? ჯანაბამდინაც გზა ჰქონია!.. მოდის ახალი? და მე კი ამას ვიმღერებ:

ხელთ ჩიმჭრია სავსე ჭიქა,
მსურს წარმოვსთქვა სადღეგრძელო:
ორივ ღმერთმა შეგარცხვინოსთ,
სტუმართ და მასპინძელო.

—

საახალწლო ჩვეულებით
ნატვრითა ვსვამ წითელ ღვინოს:
„წასული და მომავალი
ორივ ღმერთმა შეარცხვინოს!"

—

წარწყმენდილმა ბებრუცანამ
რა სიკეთე მოგვაყენა,
რომ მომავალს მივეგებოთ
და საქებრად აღვძრათ ენა?

—

არა, არა, მე ვერ მივსდევ
უგნურს წესს და ჩვეულებას!..
თაყვანს ვერ ვსცემ უმეცრებას,
მის კანონს და მის უფლებას!!

აკაკი

ახალი ამბავი

⁂ აგერ ორი კვირაა, რაც ქვენა, აღმოსავლეთის ქარი ჰქრის ქართლში, სულ ერთიანად გაახმო ნიადაგი, დაბდღვნა მიწა და გადალესა ჯეჯილები. აღმოსავლეთის ქარი ქართლისათვის ძალიან მაზარალებელია: ზაფხულში ერთობ ცხელია და ზამთარში ხმელი და ცივი. გორის მაზრას წელს თოვლი არ უნახავს. მთებზე მოვიდა მცირე თოვლი; დაბალს მთებს ჭირხლი მოჰკიდა; ბარად-კი მხოლოდ 27-ს იანვარს, ღამე, ოდნავ წაჰფერულა.

⁂ «ივერიის» ხელის-მომწერელნი, რომელნიც რკინის გზის სადგურების მახლობლად სცხოვრობენ, სჩივიან, რომ გაზეთები გვეკარგებაო. ბევრჯელ გვინახავს, რომ ჩვენის ნომრების ნახევები აქა-იქა ჰყრია და პატრონები კი მოკლებულნი ვართ დროზედ მიღებასა და კითხვასაო. სასურველია, სადგურის უფროსებმა თვალი დაიჭირონ, რომ ნომრები არ ეკარგებოდეთ ხელის-მომწერლებს.

⁂ გორის მაზრის ადმინისტრაცია ამ თვის 2-დამ უკვე შეუდგა

ჩვენ ამ მაგალითზედ იმოდენად შევდექით, რომ არც კი ჰღირდა. ხოლო საქმე ის არის, რომ ეს თვალსაჩინო მაგალითია მისი თუ,—რამოდენად ჯერ კიდევ ავის ზნის პატრონები ვართ. ეს ამისთანა ავ-ზნეობა ერთს უშველებელ ზოლად გაწოლია ჩვენს ცხოვრებას, მთელს სიგძეზედ და არ იქნა, არც ე უკვე ანდერძ-აგებულმა ძველმა წელიწადმა დაგვიხსნა მისგან. მაგრამ აქ სხვათვის საფიქრებელი არა არის-რა. თუ ავ-ზნეობა, ავ-კაცობა რამ ჩაგვიდენია, ვსთქვათ, ძმისათვის ორმო გაგვითხრია, მოკეთესათვის მახე დაგვიგია, მეგობარი სადა ჯერ არს წესიერად და ლალაგებით დაგვიბეზღებია, მახლობლისათვის ლუკმა-პირიდამ გამოგვიგლეჯია, იქ სხვა მოგვიტყუებია, აქ ჩვენ მოვტყუებულვართ—ვის რა დავა აქვს!.. ეს ყოველი ჩვენი შინაური საქმეა, შეჩვეული ჭირია და შეუჩვევარს ლხინზედ რომ არ შევცვალეთ—ვის რა წავართვით!.. მერე რა ტკბილად, რა გემრიელად, რა განცხრომით ამოვიჭამეთ ეს საუკუნოდ განსვენებული წელიწადი! თითიც არავის წამოსტკენია.

ე რაღაც ბათუმის სკოლას ამბობდნენ, საფანელი შემოაკლდაო—ეს რა ტკივილია. თავში ქვა მარტო იმან იცესო, იძახის ქართველი კაცი, ვინც ამ საქმეში გაებაო. სკოლა ჩემი საქმე არ არისო, უსკოლოდაც კარგადა ართ. ქართველ კაცს არც იმოდენა [illegible] ბუსა, რომ ყვავის ბახალებისათვის იტიროს. ვაი შენი ბრალი, სილაღევ უმეცრებისავ. იქ წინამძღვარიანთ სკოლაზედ იძახოდნენ, კარგად მიდის საქმე, ცოდვაა იმისი უნუგეშოდ გაშვება, ცოტა რამ მიაწოდეთ, რომ თქვენის შემწეობით სული მოიტრიალოსო,—შენც არ მომიკვდე!.. რა სკოლა, რა ჩლავი, რა ფლავი! მოდი და ახლა ამით დაიფრთხოს ვინმემ ძილი!.. ბედის-წერის წიგნში არ უწერია. სათავად-აზნაურო სკოლაა და ისიც ძლივ-ძლივს ჰსუნთქავს, [illegible] სული ამოხდეს,—ქართველობო, თით[illegible] [illegible] შეგვეწიეთო, იძახიან თა[illegible] [illegible]წირულნი გამგებელნი სკოლისა — მაგ[illegible] ყურები ბამბითა აქვს დაცმული [illegible] [illegible]დარებისათვის. თეატრია—და თუმცა [illegible] მოეწყო, მაგრამ ისიც სტირის—[illegible] შემოგვაწყდა, საგზალი და სახსარი [illegible] გვაქვს, აქ მაინც ხელი გამოგვიწოდეთო, მოგვეშველენითო,—ვინ არის პატრონი! ორი გაზეთია ამოდენა ქვეყნისათვის და ისინიც ჰკვნესენ ხარჯის სიმძიმის ქვეშ და არ იციან როგორ გაუძლვნენ თავის საქმესა. მაგრამ, ჰეჰ, ჩვენში კაცს ამაებში მოშველების შნო და უნარი არცა ჰქონია და ჯერ ხანად არც იმედია, ჰქონდეს. ყველგან ულონობა, უქონლობა და იგი, რომელიც თავის სტომაქისათვის მთელს ოჯახს ზედ გადააგებს, ამაებისათვის კი ყურსაც არ იბერტყავს. პირ-იქით ჩუმ-ჩუმად დასცინის ყოველ ამაების მომქმედთა და მოღვაწეთა. რას მიჰქარავენ, რაზედ იჭირებენ საქმესა? „ნუ შეხვალ, ნუ ებნები, ნუ გამოხვალ, ნუ ჰთრთიო", იძახის გულში და ნიშნსაც უგებს ყოველს იმათ, ვინც წელებზედ ფეხს იდგმენ და იღვწიან თვითონ ქვეყნის ბედნიერებისათვისვე. როდემდის, როდემდის გაუძლოს საცოდავმა მოღვაწემ ამ გულ-გრილობას: როდემდის იწამოს და იტანჯოს ხელ-მოუწვდენელად, უმწედ, უნუგეშოდ... ნუ თუ ყველაფერზედ ხელი უნდა აილოს კაცმა, ზნეობითად ადრე და მალე სული დალიოს და თან საფლავში ჩაიტანოს თვისი მწვავე გულის ტკივილი, თვისი დაუძინებელი წყურვილი, რომ ჩემის შეძლებისამებრ ვარგო რამე ჩემს ქვეყანას, ჩემს მოძმესაო! ღმერთმა ნუ ჰქნას!..

⁂

თუ ჩვენში სიკეთე არა დაგვიტოვა-რა ძველმა წელიწადმა... არც დანარჩენს კაცობრიობას დააყარა ხეირი. ათას რვა-ას-ოთხმოც-და-ექვსჯერ გადაბრუნდა თორმეტ თვეიანი ჟამი მას აქედ, რაც იესო ქრისტემ გვიანდერძა, გიყვარდეთ ერთმანერთიო. ეს ანდერძი ჩვენში ხომ ერთს ყურში შევუშვით და მეორიდამ გავაპარეთ, მაგრამ არც სახელ-განთქმულმა ევროპამ უკეთესი დღე დააყენა. სწორედ ათას რვა-ას-ოთხმოც-და-მეექვსე წელიწადმა სული დაჰლია და უსირცხვილოდ თავ-მოწონებით ეს დაიკვეხა: გერმანიას 2,500,000 ჯარის-კაცი მოუგროვეო; საფრანგეთს—2,430,000; ავსტრიას—1,077,000; იტალიას—2,400,000; ოსმალეთს—800,000; რუსეთს—4,000,000. გამოდის, რომ ინგლისია და წვრილთა სახელმწიფოთა გარდა თითქმის ცამეტი მილლიონი ჯარის-კაცი ჰყავს ევროპასა. მოდით და ღმერთს მადლობას ნუ შესწირავთ, რომ ურთიერთის სიყვარულისათვის ამოდენა ერთი-ერთმანერთისათვის საჟლეტავი კაცია გამზადებული თოფითა და იარაღითა! ურთიერთის სიყვარული, თუ არ დაგიშლიათ, სწორედ ამასა ჰქვიან!..

ახლა თქვენ თვითონ იკითხეთ: ნუ თუ ეს ადრე და მალე დასამიწებელი ძველი წელიწადი საქები და სადიდებელი არ არის! მთელს კაცობრიობის ისტორიაში ათადამ-ბაბადამ სხვა წელიწადს ვერ იპოვით, რომ ერთმანერთის საჟლეტად ამოდენა ხელი ჰყოლოდეს მომცდარი და ამოდენად კარგად გაწყობილი კაცთა ჰუსრის გავლებისათვის იარაღი ჰქონოდეს! სულ რისთვის? ერთმანერთის სიყვარულისათვის... და აი ცამეტი მილლიონი ჯარია ამისათვის!... ეს მარტო ხუთის სახელმწიფოსი. ახლა ინგლისი აიღეთ, ისპანია, შვეიცარია, პორტუგალია, ბელგია, გოლლანდია, შვეცია-ნორვეგია, დანია, სერბია, ბოლგარია, რუმინია, საბერძნეთი და სხვანი-და-სხვანი და ისე ივარაუდეთ, რაოდენა ჯარია სათვალავში ჩასართავი. იქნება ხუთიოდ მილლიონი ჯარის კაცი აქაც აღმოჩნდეს,—შეიქმნა თვრამეტი მილლიონი, სიყვარულია მაშ რა არის!... მაშ თავი არ მოიწონოს ამ ოჯახ დაქცეულმა წელიწადმა, რომელიც საიქიოს გავისტუმრეთ!...

ხუმრობაა! თვრამეტი მილლიონი ვაჟ-კაცი მზად-მზარეულნი ერთმანერთის გასაჟლეტად ერთმანერთის სიყვარულისათვის!.. საკვირველ არიან, ქვეყანავ, საქმენი შენნი!.. სწავლაც დიდია, ცოდნაც ბევრია, ღვთის ადამიანმა ეს მთელი უზარ-მაზარი ბუნება თავის ყურ-მოჭრილ ყმად გიხადოს და მიმალულნი ძალნი ქვეყნიერობისანი თავის მოსამსახურედ და ის ყოვლად მხსნელი, ყოვლად მაცხოვარი გრძნობა კი, რომელსაც სიყვარული, კაცთ-მოყვარება ჰქვიან, თავის ადგილას ვერ დაუბინავებია, თავის ადგილას ვერ დაურგავს, რომ აღთქმული კაცთა მაცხოვარი ყვავილები გამოატანოს. ჯერ კიდევ ბევრი ამისთანა წელიწადი დაეწაფება ჩაილულის წყალს, ვიდრე ეს მოხდება, გული ჰთრთის შიშისა და ზარისაგან. აღარა სწამს არც ქებული ცივილიზაცია, არც თავმოწონებული პროგრესსი და ადამიანი ისევ იმ ნადირ-კაცად მიაჩნია, როგორც თავდა პირველ ყოფილა. მეცნიერებავ, ხელოვნებავ, სწავლავ, ცოდნავ, განათლებავ—სადა ხართ, რომ არ მოიშველებით გამგელებულს ადამიანს და ღვთის სახედ, ღვთის ხატად არ გარდაჰქმნით!

არ იხმარებთ, რა ხელს ჰყრით
საუნჯესა დაფარულსა?!
მაგრამ რა?
აწლა გცან,—[illegible] სოფლისა
სიზმარია [illegible].

ჯარის-კაცთა სიების შედგენას. ამ თვეის 20-მდე ჯარის კაცებს გამოიყვანენო. ხალხს შეჰკრებენ სამს ადგილასა: გორსა, ცხინვალსა და სურამშიო.

*** სურამიდამ გვწერენ: წარსულის თვეის 18-გან დაიწყო ქროლვა საშინელმა ციემა აღმოსავლეთის ქარმა და იქროლა განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ დღე-და-ღამ თითქმის თერთმეტი დღე. 28-ს კი, დილის ათს საათზე, ჩავარდა ეს ძრიელი და ციექარი და ჰაერიც გათბა. ამ დღეს შუაღამემდის ცა მოწმენდილი იყო და მთვარეც ანათებდა. გვეგონა, რომ ისევ წინანდელივით თბილი დღეები დაიწყობოდა, მაგრამ შუა-ღამის შემდეგ ცა უცბად დაბნელდა, ღრუბელი გადაეკრა და თბილი, წყნარი თოვლა დაიწყო. თოვლი ძრიელ ცოტა მოვიდა და ქარიც საღამოს ხანს ისევ ამოვარდა. ამავ დღის დილის 7-სა და 8 საათზე, როდესაც აქ ისე ჰქროდა ქარი და ზაფხულივით მშრალი მიწა იხედებოდა—მცხეთასა და ტფილისს შუა თოვლი მოდიოდა. ამ ქამადაც, როდესაც ტფილისში რუსული თოვლი დაუდევია და კიდევაც ემატება—ქართლი, კასპს ზემოდ, სრულიად მშრალია და მზიანს დღეებს უცქერის.

*** იქიდამვე გვწერენ: წარსულის წლის დამლევს, 30-ს დეკემბერს, დილის ოთხს საათზე, ორთქლის მატარებელი № 126 ფონიდგან დაქანებულა საშინელის სისწრაფით, წინ [illegible] იგრე ურბენია და აქ დასჯახებია თუჯის ბოძებს. ამის გამო დამსხვრეულა ოთხი-ხუთი ვაგონი, ნავთით გავსებული.

*** ამ თვეის 31-ს სოფ. ხარაგაულში ერთი უბედური შემთხვევა მომხდარა: ერთს მჭედელს გატენილი რევოლვერი უწმენდია და მერე ცოლისათვის მიუცია: ნახე, როგორ გაკალაპლაპეო. ცოლს უცებ გავარდნია რევოლვერი, მის ქმარს მოხვედრია ტყვია და მოუკლავს.

*** ტფილისში ბევრი გამსესხებელი „კასსა“ არსებობს. ღარიბი ხალხი გაჭირების დროს ამ „კასსებს“ მიჰმართავს ხოლმე და თავის უკანასკნელს ნივთს აქ აგირავებს ფულის საშოვნელად. ამიტომ, რასაკვირველია, კარგი იქმნებოდა, რომ ამ „კასსებზედ“ ქალაქს თვალ-ყური ეჭიროს, ყოველს მათს მოქმედებას თვალი ადევნოს, რომ უწესოება არა მოხდეს-რა. ქალაქის გამგეობას უზრუნია ამაზედ და თავის მხრივ დეპუტატები: სურგუნოვი, მელეინოვი და ანიაწცი და პოლიციას კიდევ თავის მხრივ ბ-ნი დერინაცკი დაუნიშნავთ, რომ დაუჯრონ ამ დაწესებულებათ და გასინჯონო.

*** ხუთშაბათს, 1 იანვარს, სომხურმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ლერმონტოვის დრამა „მასკარადი“. ეს პიესა წარსულის წლის დეკემბრის თვეში რამდენჯერმე დაინიშნა და ისევ გადაიდო იმის გამო, რომ ბ-ნი ადამიანი ავად-მყოფობდა. ადამიანმა მშვენივრად ალაპარაკა არბენინის როლი. ნინას როლს ქ-ნი გოარიკი ასრულებდა. თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

*** გაზ. «Кавказ. Обоз.»-ის სწერენ გორიდამ: ურბნელმა გლეხმა ლევან ელიაშვილმა სოფელ ურბნისის ახლოს მიწის თხრის დროს იპოვა ქვის კუბო. ეს კუბო დახურულია თურმე, 3 არშინი სიგრძე აქვს, 1 არშინი სიგანე და 14 ვერშოკი სიმაღლე. სამაზრო მართველობას გორისას ყარაული დაუყენებია, რომ ხელი არავინ ახლოს კუბოსაო, რადგან იმედი აქვსთ, კუბოში ისეთი ნივთი იქნება რამ, რომელსაც არხეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდესო.

*** 1 იანვარს, პოლიციის 1-ლ ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზედ, გორის მაზრის სოფ. შინდისის აზნაურს სვიმონ დავითის-ძეს მირზოევს ჩხუბი მოსვლია სამსახურ გარეშე მყოფ ჯარის-კაც პროკოფი ერივენკოსთან და ხანჯალი დაურტყამს მუცელში. დაჭრილი სამკურნალოში გაუგზავნიათ. დამნაშავე დაპატიმრებულია.

*** 1-სავე იანვარს, საღამოს 4 საათზედ, სასახლის ქუჩაზედ, ქუთაისის მცხოვრებელს პატარა ბიჭს დავით სანებლიძეს ცხენისრკინის გზის მატარებელში ჩაჯდომა უნდოდა, მოიწადინა მატარებელ № 48-ზედ შეხტომა, მაგრამ წაიქცა და მარცხენა ფეხი მოიტეხა.

სამეურნეო საზოგადოების კრება.

30 დეკემბერს მოხდა კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. ამ კრებაზე ბ-მა არასხანიანცმა გაათავა თავისი მოხსენება კავკასიის პურის ვაჭრობაზე. ბ-მა არასხანიანცმა განიხილა ორი უმთავრესი საგანი პურის ვაჭრობისა: 1) ხანგრძლივი სიცოცხლე ექმნება ამ ვაჭრობას, თუ არა და 2) რა სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარეს ეს ვაჭრობა.

რაც რომ ამ 1886 წელიწადში პური გასულა ჩვენის ქვეყნიდამ, ზოგი ამავე წლის მოსავლისა ყოფილა, ზოგი-კი, რაც წარსულ წლების პური დარჩენილა. ამის გამო შემდეგ წლებში პურის გატანა დაიკლებს ნახევარს, ან იქნება მეტსაცაო, სთქვა ბ-მა არასხანიანცმა. ეს არ მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენში სახნავი მიწები მოიმატებს, რადგან მაშინ, რასაკვირველია, პურიც მოგვემატებაო და ჩვენის პურის ვაჭრობაც აიწევსო. ბ-ნ არასხანიანცის აზრით, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ცარიელი მიწებია და ამიტომ სახნავი მიწები შეიძლება გაბევრდეს და გასასყიდად პურიც მოგვემატებაო. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ პურის ფასმა აიწია. იმედია, რომ ეს ფასი არ დაიკლებს და, მაშასადამე, პურის ვაჭრობა სასარგებლო იქნებაო. ჩვენ იმისიც არ უნდა გვეშინოდესო, განაგრძო ბ-ნმა არასხანიანცმა, რომ პური დაგვაკლდებაო და თუ გინდა ეს მოხდეს კიდეცა, მაშინ ინდოეთი და ამერიკა მოგვაშველებს პურსა, რომელიც ჩვენში მოტანილი ეღირება ფუთი 1 მან. 50 კ. უმოსავლო წლებიც ხშირად ხომ არ არის ხოლმე ჩვენში, 8—10 წლის განმავალობაში ერთხელ ძნელად შეგვესწრება ხოლმეო.

ბ-ნ არასხანიანცს უპასუხეს, რომ ძრიელ ძნელია, შევიტყოთ თითქმის დაახლოვებითაც კი, გვაქვს თუ არა საკმაო მიწები და მეტი პური, რადგან ამის შესახებ თითქმის არა გვაქვს სწორი სტატისტიური ცნობანიო, და სტატისტიურ ცნობებსაც მხოლოდ მაშინა აქვს მნიშვნელობა, როცა ცნობანი 10—20 წლის განმავლობაში ყოფილა შეკრებილი, და თუ ეს ცნობები მარტო ორს წელს შეეხება, მაშინ ძნელია რაიმე უტყუარი დასკვნა გამოიყვანოს კაცმა ამ ცნობებიდამაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არაფერი წელიწადი იყო განსვენებული ძველი წელიწადი. აი, მაგალითად, შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელსაც ფინანსთა მინისტრი საქვეყნოდ აცხადებს.

> მომავალ 1887 წლის მთელი შემოსავალი აღრიცხულია 793,118,046 მან. გასავალი კი 829,676,680 მანათამდე ადის. ამ სახით გასავალი 36,558,634 მანეთით აღემატება შემოსავალს და სახელმწიფო ხაზინას ვალად ედება. გარდა ამისა ანგარიშში მოხსენებულია კიდევ 48,414,194 მანეთი არა-ჩვეულებრივი ხარჯი, ახალის რკინის გზების გასაკეთებლად.

ფინანსთა მინისტრი სხვა მიზეზთაშორის ჰხსნის,

> რომ მეურნეობა წარსულს წელს დიდს გაჭირვებაში იყო და ამის გამო სახელმწიფოსაც შემოსავალი შეუმცირდაო.

ამასთან მინისტრი იმედს იძლევა, რომ ამ ვალის დასაფარავად ახალის ხარჯის დადება ან მომატება საჭირო არ იქნებაო, ხაზინას საშუალება აქვს, სხვა წყაროებიდამ დაჰფაროს ეს ვალიო.

შემდეგ მინისტრი ამბობს:

> თუ მომავალ წლის გასავალი აღემატება შემოსავალს, ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არისო, რომ ამ წლისათვის 52 მილლიონი სახელმწიფო ვალი უნდა გაბათილამებულ იქმნასო.

საიდამ, რა წყაროებიდამ?

> მე მოვალედ ვთვლიდი ჩემს თავსა აღმომეჩინა რაიმე წყარო შემოსავლისა ამ ვალის დასაფარავად. სხვათა შორის ყურადღება მივაქციე სამს წყაროს: სახეში მქონდა ლვინის, თამბაქოს გასყიდვა და რკინის გზები სახელმწიფოს ჩავგდო ხელში და ამ შემოსავლით ესარგებლნა.

მინისტრი იმ აზრისაა, რომ ამ გვარ საქმეების დაწყება, აჩქარება და ახალის ხარჯის დადება ჯერ არც საჭიროა და არც სასურველიაო. მინისტრს იმისი იმედი აქვს, რომ მეურნეობის გაჭირვებას ბოლო მოეღება, უკეთესი დრო დადგება და მაშინ თავის თავად მოიმატებს ხაზინის შემოსავალი.

***

ამავე მინისტრის მოხსენებაში ყურადღებაა მიქცეული შემდეგს საგნებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მინისტრს გადუწყვეტია:

> 1) შეიცვალოს პირდა-პირი ხარჯი და გაუქმდეს სულზე გადასახადი; 2) სულზე გადასახადის გაუქმებას მოსდევს პასპორტების შეცვლა; 3) ზოგიერთ, ცხოვრებაში უმთავრესად საჭირო საგნებს, რომელზედაც დღეს არაფერი ხარჯი არ არის დაწესებული, არა-პირდაპირი გადასახადი დაედებათ; 4) საბაჟო გადასახადი აღარ შეიცვლება, ე. ი. უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილს საქონელს ბაჟი აღარ მოემატება იმაზედ მეტად, რაც დღეს არის.

მინისტრს კიდევ ბევრი სხვა საქსარი მიუღია სახეში, რომ რითიმე შვება მისცეს, როგორც მეურნეობასა, მრეწველობასა და ვაჭრობასა, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინისას.

სახელდახელო

(ცხად-ახალები—წყალ-წასაღები ამბავი)

რა უნდათ ქალებისაგან, რას ერჩიან? ისე ამხედრებიან, თითქო [illegible] ევას დანაშაული და ცოდვა მიუძღვის ადამის მიმართ, ეხლა განუზრახავთ კაცებს ქალების კისრიდგან ამოღებაო.

საქმე იმაში გახლავს, ჩემო მშვენიერო და არა-მშვენიერო მკითხველო, რომ ამას წინად „ივერიის“ მეფელეტონემ დიდი უზრდელობა ჩაიდინა და დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ქალებს. დაიწყო, ჩემო ბატონო, და რაც მართალი იცოდა, სულ საჯარო პირში მიახალა; და, ხომ მოგეხსენებათ, მართალი ყველას თვალში ეკლად ესობა. ქალებმა ძალიან იწყინეს და შეუდგათ ერთი ვაი-ვაგლახი და აყალ-მაყალი: როგორ თუ „ტურნიუროსნები“, როგორ თუ «შლიაპოსნები», როგორ თუ «თმა გრძელიო...» და სხვა ამისთანები. დიდის ბაასისა და რჩევის შემდეგ გარდასწყვიტეს, რომ უზრდელის მეფელეტონის წინააღმდეგ წერილი დავბეჭდოთ და სულ მტვერ-ბუქი ავადინოთ კაცებსაო. ამ განაჩენის შემდეგ შეკრბნენ ყველა ქალნი-ფილოსოფოსნი ერთად და შესთხზეს გრძელი ეპისტოლე «ივერიის» რედაქციის მიმართ. ამ ეპისტოლეში ბევრი ჭეშმარიტებაა გამოთქმული და, მე თითონ რომ წავიკითხე, მეტად გამაკვირვა ლოგიკამ და ჭკუა დამჯდარმა მსჯელობამ.

ამ ეპისტოლეთი ქალები უსაყვედურებენ კაცებს და დიაღ სამართლიანადაც, რომ თუ ჩვენ „ტურნიურებს“, სამ საქვეიან „შლიაპებს“, ათასნაირად ახელანჯულ-დახელაჯულს კაბებს, «ვუალებს», „ბუფმს“ და ათას სხვა ამ გვარს ეშმაკებს ვატარებთ, თქვენისავე მიზეზით ვატარებთო. თქვენ მოგწონთ, რომ ქალი საროს-ტანი და წერწეტი იყოს და ჩვენც, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვიჭერთ „კორსეტებს“, ლამის სული ამოგვირჩოთო. შეხვდება თუ არა კაცი დედა-კაცს, „მხოლოდ მოდაზე ელაპარაკება, ლამაზს ცხვირზედ, ეშხიანს თვალებზედ, პაწია ფეხებზედ და სხვა არაფერზედ. მაშ რა ჰქმნას საცოდავმა დედა-კაცმა, თუ მთელი თავისი ყურადღება თავის თვალებსა და ფეხებს არ მიაქციოს, როდესაც ცხადადა ჰხედავს, რომ მარტო იმის თვალებზეა და ფეხებზე კაცის ყურადღება მიქცეული?“

მოდი ამ სიტყვების შემდეგ და გაამტყუნე ქალები. კაცებს მოსწონთ, რომ ქალები «ტურნიურებს» ატარებდნენ და ქალებიც ატარებენ; კაცებს მოსწონთ, რომ ქალებს პატარა ფეხები ჰქონდეთ და აკი ქალებსაც პატარა ფეხები აქვსთ! რა ჰქმნან საცოდავმა ქალებმა, ძალიანაც უნდათ დაამტკიცონ, რომ

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია,
მაგრამ თუ

კი კაცებს მარტო „ტურნიურები და „პატარა ფეხები“ მოსწონთ!

არა, საზოგადოდ, მეტად აჩხირებია „ივერია“ ჩვენს ქალებს. რომელს განყოფილებას გადაავლებთ თვალს გაზეთისას, რომ ჩვენის ქალების „[illegible]ვა-კიცხვა არ იყოს დაბეჭდილი“. უცხოეთია და, რუმინიის დედოფალი განათლებული მწერალი-ქალია, ძველი და ახალი მწერლები კარგად, აქვს შესწავლილიო, თითქოს ჩვენს ქალებს ესაყვედურებენ: აი თქვენ კი არ გაქვსთ შესწავლილი ძველი და ახალი მწერლებიო, ნარკვევია და —სულ ქალებზედ, დამაკვირდია—ქალებზედ, ახალი ამბავია (ახალი ამბავიც-კი!) და — უცხო ქვეყნებიდამ წლეულს მარტო ფერ-უმარილი 38 ფუთი შემოსულა ტფილისშიო (იხ. „ივერია“ № 274), ვითომ და აი რამდენი ფერ-უმარილი გაგიგლესიათ წლეულსაო, უკიჟინებენ ქალებს. თუ კი კაცებს ფერ-უმარილიანი ქალები მოსწონთ, ვისი რა ბრალია! ფელეტონია და — „ჩვენს ეხლანდელებრ განათლებულს ქალს განა „საქმენი საგმირონი“ გულს სიყვარულით აუფეთქებენო?“ არა მეტად, მეტად აბუჩად იგდო ქალები «ივერიამ».

განა მარტო «ივერია» ექცევა ასე უსამართლოდ ქალებს, თითქმის ყველა კაცებს ჰძულთ ქალები და ქალების სისხლსა სვამენ. მაგალითად, ამას წინად ერთმა კაცმა აი რა მითხრა: „მოხუცებული კაცი მშვენიერი წიგნია ყდა-შემოგლეჯილი და მოხუცებული დედა-კაცი კი მარტო გაცვეთილი ყდააო.“ ამ შემთხვევაში არც ქალები ჩამოუვარდებიან კაცებს. ამას წინად ერთი ყოვლად განათლებული ქალი შემდეგს სასაცილო ამბავს მოუთხრობდა ქალებს: «ამერიკაში შეუნიშნავთ, რომ ვირებს არყნარის ფოთოლი უჭამიათ და სულ მთვრალები დაყრილანო. ეხლა ეს საქმე „ქიმიკოსებსა“ აქვთ მინდობილი, რომ გამოიძიონ, რა თვისება აქვს ისეთი არყის ფოთოლსაო. თუ მართლა არყის ფოთოლი რაიმე სასმელად გამოიყენეს კაცებმა, უეჭველია, ვირებს, რომელთაც ეს საქმე აღმოაჩინეს, კაცები ძეგლს აუგებენო.»

მართლა და რათ უყვართ კაცებს სიმთვრალე და რათა სცემენ თაყვანს „ბახუსსა“ და „პილატეს ცრემლსა“? ისინიც ხომ ვერ დაიჟინებენ, რომ ქალებს მთვრალი კაცები მოსწონთ და იმიტომ ვითვრებითო. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ესეც იყოს.

რამდენი კაცია ისეთი, რომ ქალებს ყურადღებას არ აქცევს, ქალების არშიყობა ეჯავრება, თეატრებში და ბალებში სიარული არ უყვარს, ცეკვა ჭირივით სძულს, ტანისამოსის ყადრი არ იცის და სულ აჩეჩილი დადის. რად იქცევიან ასე კაცები, იმას ხოა ვერ იტყვიან, რომ ქალებს გვინდა თავი მოვაწონოთო.

და კიდევ რამდენია იმისთანა, რომ კაცები მისდევენ და ქალებს-კი ეჯავრებათ. დიდად, დიდად უსამართლონი არიან „ივერიაც“ და სხვებიც ქალების წინაშე. კაცს გემოვნება არ უნდა ჰქონდეს, რომ „ტურნიურებისა“ და „კორსეტების“ წინააღმდეგ გაილაშქროს.

***

ამერიკის ქალებს განუზრახავთ, რომ დაბადება გადმოთარგმნონ. ეს სურვილი ქალებისა იმას გამოუწვევია, რომ აქამდე დაბადებას სულ კაცები სთარგმნიდნენ და შეიძლება ზოგიერთი ქალების შესახები ამბავი განზრახ დააბნელეს და ისე გადმოთარგმნეს, როგორც თითონ უნდოდათო. თუ გინდა მართლადაც იყოს დაბადება გადმოთარგმნილი, ისინი მაინც გადმოსთარგმნიან, რომ დაუმტკიცონ კაცებსა, ჩვენ თქვენს თარგმანს რულიად არ ვენდობითო. ამის გამოი სუნდვიათ ზოგიერთ განათლებულისმ ქალებისათვის, კარგად შეისწავლეთ ძველი ებრაული, ბერძნული და სხვა ენები და ქალებმა, მხოლოდ ქალებმა გადმოთარგმნოთ დაბადებაო.

ეს ხომ მოსაწონებელი არ არის კაცებისათვის და საკვირველია, რად მოუნდომებიათ ქალებს კაცების არმოსაწონი საქმე. მაშ ტყუილია, „დედა-კაცმა რა ჰქმნას, თუ მთელი თავისი ყურადღება თავის თვალებსა და ფეხებს არ მიაქციოს, რადგანაც მარტო იმის თვალებზეა და ფეხებზე კაცის ყურადღება მიქცეულიო?“ საკვირველია, ამ მოძღვრებას როგორ გაჰქცევიან ამერიკის ქალები და მართლა ადამიანურ საქმისათვის წაუკიდნიათ ხელი!?

ორ-ანი

დეპეშა

31 დეკემბერი

ბერლინი. გუშინდელს კრებაზე რეიხსტაგში ბისმარკმა პასუხი მისცა მოწინააღმდეგეთა დასის ზოგიერთს წევრებს და სთქვა სხვათა შორის: მთავრო

იმიტომ ითხოვს, დაუყოვნებლივ იქმნას კანონ-პროექტი სისრულეში მოყვანილი, რომ საჭიროა მზად ყოფნა ყოველ შემთხვევისთვისაო. შესაძლებელია, მეტადრე საფრანგეთში, მთავრობამ საკუთარის თავის გადასარჩენად ომი საჭიროდ დაინახოს და გამოაცხადოს კიდეც. როცა ბისმარკმა ცალკე პასუხი მისცა ვინდჰორსტს, სთქვა რომ გერმანიასა და ავსტრიას, მართალია, საერთო ინტერესები აქვსთ, მაგრამ ამასთანავე ცალკე ინტერესებიცა აქვთო და ამიტომ ვერ ითქმის, რომ გერმანიისა და ავსტრიის შორის სრული თანხმობა ჰსუფევდესო. რუსეთის შესახებაც უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ ვიტყვით, ვითომ გერმანიას ნამდვილი კავშირი ჰქონდეს იმასთან შეკრული და ამიტომ, თუ ომი შეგვემთხვა საფრანგეთთან, გერმანიამ მარტო თავის იმედი უნდა იქონიოსო.

ბერლინი. მოგვყავს უფრო დაწვრილებით ის ადგილი თ. ბისმარკის გუშინდელის სიტყვისა, რომელიც შეეხება რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობასა. კანცლერმა სთქვა: „რუსეთთან ისეთივე მეგობრობა გვაქვს დღეს, როგორც 1870 წლის ომის დროსა გვქონდა. ეს ყოველ ეჭვ-გარეშეა. გერმანია არც თავდასხმას ელის რუსეთისაგან, არც სამტრო პოლიტიკასა. ვამბობ ამას, თუმცა-კი შეიძლება ამათ კანონ-პროექტს პოლშელ დეპუტატების გენში მოაკლდეს; მაგრამ, უპირველესს ყოვლისა, მევალდებული ვარ მართალი ვილაპარაკო. კანონ-პროექტი იმიტომ არ არის წარმოდგენილი, რომ ვითომ ომი იყოს რუსეთთან მოსალოდნელი; რუსეთთან ჩვენ ისეთივე მეგობრობა გვაქვს, როგორც აწ განსვენებულის რუსეთის ხელმწიფის დროსა გვქონდა. ჩვენ ჩვენის მხრით ამ მეგობრობას არა შემთხვევაში არ მოვშლით. მე ვერა ვხედავ და ვერც ერთი თქვენგანი ვერ იტყვის, რა სარგებლობა უნდა გვქონდეს რუსეთთან მტრობისაგან. მტრად-გადაკიდება კიდევ მხოლოდ იმ სურვილით, რომ ვიხუთოთ ერთმანერთში, ბარბაროსობა იქმნებოდა, გერმანიის ღირსების დამამცირებელი. ამ გვარად, მშვიდობიანობას რუსეთთან ჩვენ არ დავარღვევთ; რუსეთიც, ვგონებ, მოერიდება ამ გვარს საქმეს. მე არც იმასა ვფიქრობ, რომ რუსეთი ცდილობდეს სხვებთან შეჰკრას კავშირი და ჩვენ შემოგვესიოს საერთო ძალით. იმპერატორი ალექსანდრე III ყოველთვის იმდენად მამაცი ყოფილა, რომ პირ-და-პირ გამოუთქვამს თავისი აზრი და, თუ განზრახვა ჰქონდეს ჩვენთან მტრად გადაკიდებისა, პირველი იტყოდა ამასა და საქმითაც დაამტკიცებდა. ყველას, ვისაც კი ჰქონია პატივი და დაახლოვებით გაუცვნია იმპერატორი, შეუძლიან ენდოს მას. ძნელი და გასაჭირი ის კი არ არის, რომ რუსეთისა და გერმანიის შორის იყოს დაცული მშვიდობიანობა, არამედ—რუსეთისა და ავსტრიის-შუა საძნელო მშვიდობიანობის დაცვა, რადგანაც აქ სრულიად საწინააღმდეგო ინტერესებია. ჩვენ ვიტვირთეთ შუა-კაცობა. ეგეც ძნელი საქმეა. ძნელია იმიტომ, რომ საჭიროა ვეწინააღმდეგოთ შემაგულიანებელს მოქმედებას რუსეთისა და ავსტრია-უნგრიის მწერლობისასა და აგრეთვე ავსტრია-უნგრიის პარლამენტისასა. ამასობაში ჩვენ ის შიში მოგველის რომ რუსეთის მომხრედ დაგვსახავენ ავსტრიაში, და მეტადრე უნგრიაში, ხოლო რუსეთში, პირ-იქით, ავსტრიის მომხრეს დაგვიძახებენ. მაგრამ ჩვენ ყველა ამას არაფრად მივიჩნევთ, თუ კი მოვახერხეთ და დავიცვით მშვიდობიანობა გერმანიისა და ევროპისათვისაო.“

პარიჟი. ტონკინს ტამგოსთან თავს დაესხა საფრანგეთის ჯარს ძლიერი მტერი და დიდი ზარალი მისცა. ტამგოს ჯარი გაჰგზავნეს მისაშველებლად.

ბელგრადი. უარ-ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ სერბიის ჯარის ერთი ნაწილი ამ ხანებში სამხრეთ სამზღვარზეა თავ-მოყრილიო.

პარიჟი. გუშინ კვლავ დაიწყო სესსია პალატებისა. სენატში თავს-მჯდომარემ კარნომ წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, რომ ომი უფრო გააძლიერებს საყოველთაო საეკონომიო აშლილობასაო. ყოველს ერსა და მთავრობას, განსაკუთრებით საფრანგეთს, ჰსურს მშვიდობიანობა, მაგრამ თუ საფრანგეთის სურვილი არ გამართლდა და ომი ასტყდა, ჩვენ შეგვიძლიან დიდ-ძალი ჯარი გამოვიყვანოთ საომრადაო.

ლონდონი. დღეს შუა-დღის უკან ლორდი იდდესლეი უეცრივ გახდა ავად მარკიზ სალისბერის ოფიციალურს სახლში. მაშინათვე მოიწვიეს ორი მკურნალი და [illegible] ავად-მყოფისა. ლორდი იდდესლეი რამდენიმე წამის შემდეგ გარდაიცვალა.

სტამბოლი. კრიტის გუბერნატორმა სავას-ფაშამ თხოვნა შეიტანა, სამსახურიდამ დამითხოვეთ, რადგანაც უარი მითხარით და ჯარი არ მომაშველეთ, როცა გითხოვეთ. კრიტის კუნძულზე, როგორც ამბობენ, ინგლისელებმა დაიწყეს მკვიდრთა შეგულიანება. სადიპლომატო წრეებში ჰფიქრობენ, რომ ინგლისს ჰსურს მოახერხოს როგორმე და ერთი ფეხმოსაკიდებელი ადგილი კიდევ დაიჭიროს ხმელთა შუა-ზღვაში, სახელდობრ, კუნძული კრიტი.

1 იანვარს

პეტერბურგი. «Journal de St.-Petersbourg»-ი ლაპარაკობს ბისმარკისა და საფრანგეთის სენატის თავს-მჯდომარის კარნოს სიტყვების გამო და ამბობს, რომ ყველგან მშვიდობიანობის სურვილს აცხადებენო. ყველა მთავრობანი ცდილობენ დაარწმუნონ ქვეყანა, რომ მშვიდობიანობა გვსურსო საყოველთაო საკეთილ-დღეოდ და დასაკმაყოფილებლადაო. გაზეთი ამბობს, რომ ფლურანსმა და გობლემ სწორე და მართალი სიტყვა უთხრეს ბოლგართა დეპუტატებსაო, და დასასრულ აცხადებს: ყოველივე ეს უეჭველი ნიშანია მშვიდობიანობისა და მყუდროებისაო. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ-წელიწადი გაამართლებს ასეთს საბედნიერო მოლოდინსაო.

2 იანვარს

პეტერბურგი. უმთავრესნი მოგებანი დღევანდელის ტირაჟისა ერგო შემდეგს ბილეთებს:

№ სერიისა	№ ბილეთ.	ჯამი
3,199	20	200,000
8,853	13	75,000
10,330	9	40,000
1,845	44	25,000
4,671	9	10,000
493	41	10,000
9,418	22	10,000
1,492	32	8,000
11,836	46	8,000
4,522	26	8,000
18,504	32	8,000
12,300	18	8,000
7,759	5	5,000
14,696	31	5,000
13,206	17	5,000
3,384	9	5,000
5,304	20	5,000
9,524	28	5,000
11,113	15	5,000
19,554	29	5,000
4,379	17	1,000
12,728	18	1,000
7,832	21	1,000
12,600	47	1,000
16,991	40	1,000
11,654	14	1,000
7,589	46	1,000
9,533	6	1,000
10,915	16	1,000
15,861	41	1,000
3,517	44	1,000
13,711	33	1,000
13,189	22	1,000
19,076	40	1,000
8,386	47	1,000
15,476	39	1,000
9,015	13	1,000
14,860	12	1,000
1,553	1	1,000
4,814	33	1,000

პეტერბურგი. გუშინ ახალ-წლის გამო საზამთრო სასახლეში უმაღლესი გამობრძანება იყო: წირვის შემდეგ მათ უდიდებულესობათ მიულოცეს ახალ-წელიწადი სადიპლომატო კრებულის წევრთა.

ვენა. თითქო მართლდება ის ხმები, რომელიც ყოველ-მხრიდამ მოდის საერთა-შორისო მდგომარეობის განკარგების თაობაზე. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის მთავრობამ ახალი წინადადებანი წარმოადგინა. ეს წინადადებანი ჰმოწმობენ არა მარტო იმასა, რომ მშვიდობიანობის სურვილი აქვს ამ სახელმწიფოს, არამედ იმასაც, რომ შეიძლება აჩქარებულ იქმნას კიდეც მორიგება დიდთა სახელმწიფოთა შორის ბოლგარიის საქმის გამოვო. გაზეთი „Fremdenblatt“-ი, ორგანი გრაფის კალნოკისა, ამბობს, გერმანია, როგორც შუამავალი, ადვილად შესძლებს მოსპოს ყოველივე უთანხმოება სამართლიანის მორიგებითა, რადგან ვენა და პეტერბურგი მზად არის ამ გვარი მორიგება შეიწყნაროსო. გაზეთის სიტყვით, ბისმარკის გადაწყვეტილი ლაპარაკი ძალას გამოაფხიზლებსო და თვით სოფიაზედაც იმოქმედებსო. სოფიაში არ უნდა დაივიწყონ, რომ ევროპის თანაგრძნობა მოაკლდებათ, თუ სახეში არ მიიღებენ ევროპის სურვილს მშვიდობიანობისასაო.

პარიჟი. პალატის თავს-მჯდომარემ ფლოკემ სესიის დაწყობის დროს წარმოსთქვა სიტყვა და ურჩევდა ყველა საპოლიტიკო დასის წევრთ, თანხმობით იმოქმედეთო. ასეთი თანხმობა საჭიროა ჯერ მარტო იმიტომ, რომ თუ ასე მოვიქცევით, საფრანგეთი მეზობლების პატივისცემას მოიპოვებსო. ეს აუცილებლად საჭიროა მშვიდობიანობის დაცვისათვის, ხოლო მშვიდობიანობა ეჭირვება საფრანგეთს იმდენადვე, რამდენადაც სხვა დიდ სახელმწიფოებსაო. ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ 1887 წლის ბიუჯეტში მოხსენებულია 86 მილიონი ფრანკი არა-ჩვეულებრივის სამხედრო ხარჯისათვისაო, 71 მილიონი—ახალის თოფების მოსამზადებლადაო და 15 მილიონი—ყაზარმებისა და სიმაგრეთათვისაო.

გაზეთები ლაპარაკობენ ბისმარკის სიტყვის გამო და ამბობენ: ამ სიტყვიდამ სჩანს, რომ ბისმარკს მშვიდობიანობა ჰსურსო. ეტყობა გერმანიას ნამდვილად განუზრახავს არ დაესხას თავს საფრანგეთსა და ამბობს, რომ საფრანგეთიც არა ჰფიქრობს შეესიოს გერმანიასაო.

ბერლინი. რეიხსტაგმა 186 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 154 შეიწყნარა წინადადება თავისუფალ მოაზრეთა და მხოლოდ სამის წლით დაამტკიცა მთავრობისაგან წარმოდგენილი კანონ-პროექტი ჯარების მომატების თაობაზე. ამის გამო რეიხსტაგი დათხოვნილ იქმნა. ახალი არჩევანები დანიშნულია 9 ფებერვალისათვის.

3 იანვარს

ბერლინი. 14—2 იანვარს. გუშინდელს კრებაზე პარლამენტში თავადმა ბისმარკმა წაიკითხა გაზეთების წერილები. ამ წერილების დამწერნი ითხოვენ, რომ გერმანია გადაეღობოს რუსეთს და გზა შეუკრას სტამბოლისაკენ. „ეს საქმე,—სთქვა ბისმარკმა,—იქნება ინგლისისათვის იყოს სასურველი და სანუკვარიო; ხოლო რაიცა შეეხება გერმანიას, იმას ტვირთად აძევს სხვა მძიმე საქმე—დაცვა მშვიდობიანობისა და მოვალეობა შუა-კაცისა, რომელმაც უნდა მოარიგოს ამ საქმეში ჩარეულნი მეგობარნი სახელმწიფონიო. თუ რუსეთი თავს დაგვესხმის, ჩვენ გვსურს, ვალდებულნი ვართ და ვიბრძოლებთ კიდეც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. მაგრამ რუსეთს არავითარი მიზეზი არა აქვს, რომ შემოგვესიოს და არც ჩვენა გვაქვს მიზეზი რუსეთს შევესიოთო“. დასასრულ ბისმარკმა სთქვა, რომ მთავრობა არ დაარღვევს კონსტიტუციას, უკეთუ პარლამენტს დაითხოვსო. მთავრობა გადაწყვეტით ითხოვს, რომ კანონ-პროექტი შეწყნარებულ იქმნას და დამტკიცებულ შვიდის წლის ვადითაო.

პეტერბურგი. გირავნობის ფურცელნი ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა გასყიდულ იქმნა—94 მანათადა და ხუთ შაურად. ტფილისის საქალაქო საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციების მსყიდველნი იძლევიან 84 მანათსაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

4 დღე კვირა. წმ: 70 მოციქულთა. მოწ. ზოსიმესი, ათანასე და ესტატესი. კათოლ. ევ. ტიტესი, გრიგოლ და ბენედიქტესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—0. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—55. მთვარე ამოდის 1—3 დილ.

5 დღე ორშაბათი. წინადღესასწაული განცხადებისა უცვლისა მარხვაა. სომეხ. კვირაძალი შობისა და ნათლის ღებისა ქრისტესი. ნავაკატიკი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—10—0. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—56; მთვარე ამოდის 2—9 დ.

გამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1 ლის ხარისხისა	5 ›
მე-2 ხარისხისა	4 ›
მე-3 —	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი.	13 ›
ცხვრის ხორცი	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

პეტერბურგის ბირჟა, 2-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 70 კ.
ტამოჟნის კუპონები	—	—	196 მან.
5% პირველის მინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	244 მან.
— მეორისა	—	—	232 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

განცხადებანი

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—32)

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—7)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ლექსნი

თქმულნი მეფის თეიმურაზ (1591—1665) პირველისაგან, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 30 კაპ. (3—3)

Дозв. ценз. Тиф. 3 января, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე